ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

01 ოქტომბერი 2018 წელი

დადგენილება N38

56-00
9 აპრილის ქუჩა #15

დ.ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 06 აგვისტოს N32 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 06 აგვისტოს N32 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“**(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებ გვერდი 09/08/2018 სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016347)**

1. ამოღებული იქნეს დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„4) აიკრძალოს მალფუჭებადი საკვები პროდუქტებით (ხორცი, ხორცის პროდუქტები, რძე, რძის პროდუქტები, თევზი,შეუფუთავი საკონდიტრო ნაწარმი და პური) ასევე სუნელებითა და სანელებლებით გარე ვაჭრობა.

მუხლი 2 .დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე